

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N5

ქ. ზუგდიდი

19 თებერვალი 2019 წელი

2019 წლის 19 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 28 დეპუტატი:** მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჭია, თამუნა ჯიქია, თაზო ფაცაცია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, სანდრო სორდია, დაზმირ ძიმციეშვილი, ჯონი ჯიქია, კონსტანტინე კაკავა, ირაკლი ლაგვილავა, მიხეილ ჯობავა, ანა წითლიძე, ბათლომე შელია, ამირან ჩხოლარია, ირუზა კაკავა, ედიტა კოდუა, ზაზა პროკოპენკო, დავით შელია, გია დანელია, ჯანსუღ ჯაბუა, ზურაბ გოგომე, სოსო გოგოხია, გიორგი თოდუა, სალომე ფაცაცია, მალხაზ ციკუტანია, ირაკლი ჯანაშია, თენგიზ აღმასია.

**საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 22 დეპუტატი:** ოთარ მარშავა, ზვიად ყორშია, ოთარ ქადარია, მამუკა ყურაშვილი, ზაზა ანდრიაძე, არჩილ ბერანძე, ზვიად ქირია, ტარიელ გაბულდანი, მამუკა თოლორაია, დავით ჭაფანძე, მანანა მეზონია, პაატა ებრალიძე, გოგიტა ზარქუა, გიორგი კუკავა, ზაზა ხუბუა, რევაზ თორდია, პაატა ადამია, ირაკლი ღურჭკაია, გოგი თოდუა, ლაშა ესებუა, რამაზ ჯაბუა, გელა თოლორაია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** მურთაზ ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, არასამთავრობო სექტორის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

**სხდომას მდივნობდა:** საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

**სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე;**

**სხდომა დამთავრდა: 13:20 საათზე;**

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხსენებელი: დავით გახარია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე**

სხდომის თავმჯდომარე მამუკა წოწერიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

**მომხრე -28 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;**

**დაამტკიცეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

**საკრებულომ მიიღო N17 განკარგულება (თან ერთვის)**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**მომხსენებელმა დავით გახარიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016488) შეტანილ იქნეს ცვლილებება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ა) ცენტრი - ქ. ზუგდიდი; ადმინისტრაციული ერთეული სოფლად-48; ადმინისტრაციული ერთეული ქალაქად-5; მოსახლეობის რაოდენობა - 105.5 ათასი; ფართობი - 792.0 ათასი; მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი-0152; გზების სიგრძე-1344კმ; 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა-7.9 ათასი; სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა -3.9 ათასი; პენსიონერთა რაოდენობა - 29524; სოციალურად დაუცველთა რაოდენობა - 5037.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -28 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულომ მიიღო N9 დადგენილება (თან ერთვის);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია